ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3096534

ნომერი: AR1474092

თარიღი : 27.01.2017

გაცემის თარიღი : 28.02.2017

გაცნობის თარიღი : 28.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი III ; ქალაქი თბილისი , ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ: წარმოდგენილი მიწის ნკავეთები საკადასტრო კოდით #01.11.12.005.180 და #01.11.12.005.245 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში 6 (სზ–6). სამსახურმა უკვე გაცნობათ, რომ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდით #01.11.12.005.180 და #01.11.12.005.179 ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის #1675 (11.11.14) და #1824 (20.11.14.) ბრძანებით ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=4,5-ით. ამ ეტაპზე თუ გსურთ ერთიანი არეალის ფარგლებში პარამეტრების გაზრდა, უნდა განახორციელოთ #01.11.12.005.180 და #01.11.12.005.245 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება და გააერთიანებული საკადასტრო გეგმის წარმოდგენა, სხვა შემთხვევაში განიხილება როგორც მეორადი მომატება, რაც კანონმდებლობით დასაშვები არ არის.

ამავე განაცხადში რუკაზე თავიდან უნდა მონიშნოთ მიწის ნაკვეთების გაერთიანებული საკადასტრო ერთეული საკადასტრო კოდის მითითებით, რის შედეგად ავტომატურად დაფიქსირდება ყველა საჭირო ინფორმაცია და ამავე განაცხადის დახარვეზებულ და საჭიროების შემთხვევაში დამატებით ველებში უნდა ატვირთოთ ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილების მუხლი 31-ის 4-ეპუნქტის პირობების დაცვით შესრულებული დსააბუთება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.